

I. ქართული ლიტერატურა

- (2) 1. გაიხსენეთ იაკობ ხუცესის თხზულება „შუშანიკის წამება“:
1. გადამოუკით თქვენი სიტყვებით, რა უთხრა იაკობმა მცველს ისეთი, რომ მან გვემული და-დოფლის სანახავად იგი სენაკში შეუშვა.
2. რა მიზნით მივიდა ციხეში სიკვდილის პირას მყოფ დედოფალთან ჯოჯიკი?
- (1) 2. გაიხსენეთ იოგანე საბანისძის თხზულება „აბო თბილელის წამება“:
კონკრეტულად რის გამოა არაბთა მიერ დაპყრობილ ქართველთა ნაწილი „გუემული და ქენჯნილი“?
- (5) 3. გაიხსენეთ გულანშაროს ეპიზოდი „ვეფხისტყაოსნიდან“:
1. როგორ მოახერხა ფატმანმა ნეხტანის გამოხსნა დავარის მონებისაგან?
2. რა პირობით გაუმჟღავნა ფატმანმა უსენს ნეხტანის ამბავი?
3. როდის შეახსენა კიდევ ერთხელ ფატმანმა უსენს თავისი პირობა?
4. რის გამო ეშინოდა ფატმანს ჭაშნაგირისა?
5. რით დასრულდა ფატმანისა და ჭაშნაგირის კონფლიქტი?
- (2) 4. გაიხსენეთ სულხან-საბა ორბელიანის არაკი „მაოხრებელი მკვდარი“:
1. რაზ განაპირობა გზირის ქცევის ამგვარი შეფასება: „ცოცხალმან მოგვთხარა“?
2. რას გულისხმობდნენ სოფლის მცხოვრებლები გზირის შესახებ ნათქვამ სიტყვებში: „მკვდარმან აგვაოხრაო“?
- (2) 5. გაიხსენეთ დავით გურამიშვილის „დავითიანი“:
1. რა არის, დავით გურამიშვილის აზრით, იმის საწინდარი, რომ შთამომავლები მას არ და-ივიწყებენ?
2. რას უნდა ფლობდეს ადამიანი, რათა, პოეტის აზრით, „მუხლო არ მოექნას“ ვინმებს?
- (2) 6. გაიხსენეთ გრიგოლ ორბელიანის ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“:
1. განმარტეთ, რის სიმბოლოა ამ ლექსში შავი ყორანი.
2. დაახახელეთ სხვა პოეტის ლექსი, რომელშიც გვხვდება ეს სიმბოლური სახე.
- (2) 7. გაიხსენეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“:
1. დაახახელეთ სოფიოს ძირითადი არგუმენტი, რომელსაც იგი მეუღლესთან საუბრის დროს იყენებს.
2. ავტორის რა შეფასება მოსდევს სოფიოს სიტყვებს?
- (2) 8. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის მოთხოვნა „მგზავრის წერილები“:
1. ქართველთა მიმართ ავტორის რა დამოკიდებულება ჩანს სიტყვებში: ქართველებს თერგ-დალეულები „იმიტომ არ მოსწონთ, რომ თერგ-დალეულები მართლაც-და თერგ-დალეულები არიანო“.
2. რის მაჩვენებელი პგრია რუს ოფიცერს გენერალთა რაოდენობა?
- (2) 9. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის ლექსი „ჩემო კალამო“:
1. რა მიზანი ამოძრავებს პოეტს, როდესაც „სიავეს ქართვლისას ამბობს“?
2. პოეტის აზრით, ვის იცის მისი „წმინდა... განზრახვა და სურვილი“?
- (2) 10. გაიხსენეთ აკაკი წერეთლის ლექსი „რაც არ იწვის, არ ანათებს..“:
1. რა არის ის გრძნობა, რომლისთვისაც პოეტი მზად არის სიცოცხლე გაიღოს?
2. ავტორის აზრით, რა განცდა შეიძლება დაიბადოს „ჩუმ ტანჯვაში“?

- (2) 11. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონი“:
1. რა ურჩიეს მტერთან საბრძოლველად მიმავალ ლელას მოლაშქრებმა?
 2. რა სირცევილი „აჭმია“ წიწოლამ საკუთარ ლელას?
- (2) 12. გაიხსენეთ დავით კლდიაშვილის მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“:
1. რატომ ნანობდა პლატონი, რომ კირილეს გაჰყვა ქორწილში?
 2. რატომ არ სურდა პლატონს „საქვრივო“ ფულის გამორთმევა ბრეგაძეებისათვის?
- (2) 13. გაიხსენეთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მთაწმინდის მთვარე“:
1. დაასახელეთ ეპითეტი, რომელიც „ხეებში ჩაქსოვილ“ ლანდებს უჩვეულობას ანიჭებს.
 2. დაასახელეთ, რისთვისაა მზად ლირიკული გმირი, ოდონდ თქვას, „თუ დამემ სულში როგორ ჩაიხედა“?
- (2) 14. გაიხსენეთ გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა „ქაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უჟვარდა“:
1. ვასიკო კეჟერაძის აზრით, რა საშუალებას უნდა მიმართონ იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა წიგნების კითხვა დაიწყონ?
 2. რატომ უწოდებს ვასიკო კეჟერაძე ხელმძღვანელ მუშაკს „ბედნიერ კაცს“?

II. წერითი დავალება

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალებებს და გაიაზრეთ ისინი.

თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არააღებაზურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუძართავია, რომ აზრის გავება ჭირს, **დაწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.**

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერითი დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუმცა მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (მაგალითებით საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების) და დამოკიდებული აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტექსტი დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის. ეს ნაწერი არ სწორდება.

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ, ფრჩხილებში ნუ ჩასვამო და ნურც დაჯდაბნით.

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.

ურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთები ვაჟა-ფშაველას პოემიდან „ალუდა ქეთელაური“:

„ვის ამწყალობნებ, ალუდავ,
ამა კურატით შავითა? –
ჰკითხეავს ალუდას ხუცესი
გადაწეულის მჯლავითა...“

„ეგ სამხვეწროა, ბერდიავ,
ძოდან მოკლულის ქისტისა.
მუცალს ეტყოდებ სახელად.
მაუნათლავის შეილისა...“

„ქისტისად საკლავის დაკვლა
კარგად არ მოგიხდებისა.
მამით არ მოდის ანდერძი,
პაპით და პაპის-პაპითა,
გონთ მოდი, ქრისტიანი ხარ,
ურჯულოვდები მაგითა!..“

„ზღვენსა ნუ გამიმსუბუქებ,
მადლი თუ გწყალობს დვოისაო,
უმა გარ მეც გუდანისჯერისა,
ხევსური თქვენის წყლისაო,
მითამ ერთნი ვართ, ბერდიავ,
მცხოვრები ერთის მთისაო?!“

„ტყუილად სცდები ალუდავ,
ტყუილად იცვეთ პირსაო!..“

გაჯავრდა ქეთელაური,
ფერი დაიდგა მგლისაო;
ხელი დაიკრა ფრანგულსა,
შუქი ამოხდა მზისაო,
უქნივა მოზვერს ქედზედა,
თავი მოგორავს ძირსაო...
ბერდია ჯაგარაშლილი
ხალხისკე იზამს პირსაო.
„გაგონილაა, – იძახდა, –
ასრე აგდება რჯულისა?!
საკლავს თვითონ პკლავს ალუდა,
მამხსენე ქისტის სულისა.
ხალხო, მინდარის გავიგო
პასუხი თქვენის გულისა.
დაჯარდით, ხევსურთშვილებო,
ეველანი – დიდნი, მცირენი,
სამართალი ვქნათ, ვუმტკრიოთ
ალუდას სახლის დირენი!
ნუ დაინანებო, ექმნენით
ცოლ-შვილის ამატირენი.
მოკვეთილ იყოს, სხვა ქვეყნის
ცალრუბლის შანამზირები!“

ურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთები რიჩარდ ბახის მოთხოვნიდან „თოლია ჯონათან ლინგსტრონი“:

ფრენა ჯონათან ლინგსტრონს ყველაფერს ერჩია. მაგრამ იგი ხვდებოდა, რომ მის ამ გატაცებას სხვა ფრთოსნები კეთილი თვალით არ შეხედავდნენ. თვით მისი მშობლებიც ვერ ფარაგდნენ შეშფოთებას, როცა ჯონათანი მთელი დღეებით მარტოვდებოდა, თავისთვის ვარჯიშობდა, რატომდაც წყლის ზედაპირობან დაფრინავდა.

იგი ვერაფრით მიმხვდარიყო, რატომ ჩერდებოდა პაერში მეტხანს, როცა წყლიდან ცალი ფრთის სიმაღლეზე მიფრინავდა და რატომ ეხარჯებოდა ამ დროს ნაკლები ენერგია. დაჯდომისას, ჩვეულებრივ, ორი ფეხით დგაფუნით კი არ ჩადიოდა წყალში, არამედ მკერივად აკეცილი ფეხებით წყლის ზედაპირზე გასრიალდებოდა ხოლმე და გარშემო მდოვრე ნაკადებს გაიყოლებდა. როცა მან ნაპირზეც დაიწყო ქვიშაზე სრიალი და ნაკვალევის ნაბიჯით ზომვა, მშობლები მართლაც სერიოზულად აღშფოთდნენ.

– რატომ, ჯონ? – ჰკითხა დედამ, – რატომ ისე არ იქცევი, როგორც ყველა?.. რატომ არაფერსა ჭამ? ჯონ, შენგან ცარიელი ბურტყლი და ძვლებიდა დარჩა.

– ვიყო ძვალი და ტყავი, მე ეგ სულაც არ მადარდებს, დედილო. მე მინდა ვიცოდე, რა შემიძლია ვაკეთო პაერში და რა არა, ეს არის და ეს. უბრალოდ, მინდა ვიცოდე.

– მომისმინე ჯონათან, – უთხრა მამამ დაყვავებით. – სწავლა თუ გსურს, ჯობს საკვების მოპოვება ისწავლო. ფრენა, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ მარტო ფრენით ხომ ვერ გაძლები. ნუ დაივიწყებ – იმიტომ დაფრინავდა, რომ ჭამო.

ჯონათანმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. რამდენიმე დღეს იგი მართლაც ცდილობდა სხვა თოლიებივით მოქცეულიყო: გაჰკიოდა და თანამომმებს ეკინკლავებოდა ნავსადგომებსა და თევზესაჭერ გემებთან, ყვითავდა თევზისა და პურის ნატეხების დასაჭერად. არაფერი გამოუვიდა.

– რა უაზრობაა, – გაიფიქრა მან... – ამ დროს ხომ ფრენის შესწავლას მოვახმარდი. მაინც რამდენი რამ მაქეს შესაცნობი!

არ გასულა ცოტა ხანი და ჯონათანი ისევ მარტო იყო შორს, ზღვაში: მშიერი, გახარებული, აღტყინებული. ამჯერად ფრენის სისწრაფეს ამუშავებდა და ერთი კვირის ვარჯიში საქმარისი გამოდგა, რომ სიჩქარის შესახებ მეტი სცოდნოდა, ვიდრე ყველაზე სწრაფ თოლიას ამქვეყნად...

თოლიები ერთად შეჯგუფებულიყვნენ – სათათბირო შეკრებილიყო. ჩანდა, დიდხანს ისხნენ ასე. მართლაც, მის გამოჩენას ელოდნენ.

„ჯონათან ლივინგსტრონ! დადექი ცენტრში!“ – გაისმა უხუცესის მედიდური ხმა. ცენტრში ჩადგომა ან უდიდეს შერცხვენას, ან უდიდეს პატივს ნიშნავდა. ამგვარ პატივს თოლიები მხოლოდ

გამორჩეულ ბელადებს მიაგებდნენ. „ეჭვი არაა, გუნდმა ამ დილით, საუზმობისას, ჩემი გარღვევა შეამნია, – გაიფიქრა თოლიამ. – მაგრამ ასეთი პატივი რა საჭიროა. მე ბელადობა სულაც არ მინდა. მე მხოლოდ ის მინდა გავუზიარო, რაც აღმოვაჩინე, ის უსაზღვრო სივრცეები დავანახვო, ჩვენ წინ რომ გადაშლილა“.

ჯონათანი ცენტრში დადგა.

„ჯონათან ლივინგსტონ, შენი თანაგუნდელების წინაშე შერცხევილად ცხადდები!“ – განაცხადა უხუცესმა.

თოთქოს თავში კეტი ჩასცხესო. მუხლებში სისუსტე იგრძნო, ბუმბული ჩამოეშალა, ყურებში რაღაც გუგუნებდა. სამარცხვინო ცენტრი? შეუძლებელია! გარღვევა! ეტყობა ვერ გაიგეს! ისინი შეცდნენ, აშკარად შეცდნენ!

„...დაუფიქრებლობისა და უპასუხისმგებლობის გამო, იმისთვის, რომ თოლიების და ოჯახის ღირსება და ადათი შედახე...“ – ზვიადად განაგრძობდა ხმა.

სამარცხვინო ცენტრი გუნდიდან გაძევებას და შორეულ კლდეებზე მარტოდმარტო გადასახლებას ნიშნავდა: „...მოვა დრო, ჯონათან ლივინგსტონ, როცა მიხვდები, რომ უპასუხისმგებლობა არაფერს გარგებს. ცხოვრების არსი ჩვენთვის უცნობი და შეუცნობადია, ერთია მხოლოდ ნათელი – ამქვეყნად იმიტომ მოქსულვართ, რომ ვჭამოთ და იქამდე ვიცოცხლოთ, სანამ გავდლებო“. თოლიები სათათბიროს, როგორც წესი, არასოდეს ეკამათებიან, ჯონათანის ხმამ კი სიჩუმე დაარღვია: – უპასუხისმგებლობა? მქებო! – წამოიძახა მან. – რა არის უპასუხისმგებლობა? ის რომ არსებობის უმაღლეს აზრს, დანიშნულებას ჩავწვდი და მას ვიცავ? ათასწლეულები გადის, დავყიალებთ თვეზის საძებნელად. ახლა ჩვენმა ცხოვრებამ სხვა აზრი შეიძინა – ცხოვრება შეცნობაა, აღმოჩენაა, თავისუფლებაა! გამომცადეთ, მომეცით საშუალება გაჩვენოთ, რას მივაღწიე...

გუნდი თოთქოს გაძებავდა.

– შენ ადარ ხარ ჩვენი ძმა, – ერთხმად ჩაილაპარაკეს თოლიებმა, მედიდურად დაიხშეს ყურები და ზურგი აქციეს.

ჯონათანმა დარჩენილი დღეები სიმარტოვეში გაატარა. შორეულ კლდეებზე არ გაჩერებულა, უფრო იქით გადაფრინდა. მარტობა არ ადარდებდა, იმაზე წუხდა, რომ თოლიებმა არ ისურვეს დაეჯერებინათ ფრენის სიდიადე, არ ისურვეს თვალის გახელა და დანახვა... მარტოკას მოუწია იმით სარგებლობა, რისი განდობაც მთელი გუნდისთვის სურდა. ჯონათანმა ფრენა ისწავლა და არ ნახობდა, ამ ფასად რომ დაუჯდა...

სამი თვეც არ გასულა, ჯონათანს ექვსი მოსწავლე შეემატა. „ფრენა სიხარულის მომნიჭებულია!“ – ამ უცხო აზრს გაეტაცა ყველა და გაეძევებინათ კიდეც გუნდიდან...

– თოლიას აქვს ფრენის უფლება, იგი თავისი არსებით თავისუფლებისთვისაა მოწოდებული, – თქვა ჯონათანმა. – ერთადერთი ჭეშმარიტი კანონი ისაა, რომელსაც თავისუფლებისკენ მივყავართ, სხვა არ არსებობს.

(თარგმნებ პ. ჯვარტალიანმა და ნ. ბათლიძეებ).

გააანალიზეთ მოცემული ტექსტები შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, რა არის ვაჟა-ფშაველას ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი გამოხატული.
 - იმსჯელეთ, რა არის რიჩარდ ბახის ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი გამოხატული.
 - იმსჯელეთ, რა აქვს ამ ორ ტექსტს საერთო და რა განასხვავებს მათ.
- თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

დავალება № 2

სტატიაში „ურწმუნო მწერლებს“ არჩილ ჯორჯაძე აღნიშნავს:

იმაზე ადვილი არაფერია, მიადგე დარიბი და დაჩაგრული კაცის კარს და დაიწყო ქვითინი – რა ხარ, რა ადამიანი ხარ, შენს ქოხში ბნელა, შენს ირგვლივ თხერაა, შენს გულში სევდაა...

[მწერლის] სიმამაცე და სიყოჩადე ის არის, როდესაც გულგატებილ აღამიანს ეტყვი – წარბებს ნუ იკრავ, გაიცინე და გაუდიმე მზეს, რომელიც ასეთის სიუხვით აბნევს ირგვლივ სითბოს და სინათლეს, გაჟედე ლაქვარდ ცას, სადაც გარსევლავნი ციმციმებენ, ჩაიხედე შენს გულში, სადაც დრმა აუზია სიყვარულისა, რომელსაც აღმოჩენა სჭირია, სიყვარულისა, რომელიც ათბობს დაობლებულ გულს და დავრდომილს ადამიანად ხდის.

არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთეთ ან უარყავით ეს მოსაზრება:

- ოქვენ მიერ შესწავლილი მხატვრული ლიტერატურიდან მოიყვანეთ ერთი ან რამდენიმე არგუმენტი მოცემული მოსაზრების გასამყარებლად ან უარსაყოფად.
 - იმსჯელეთ თქვენ მიერ დასახელებული ნაწარმოების მხატვრული ღირსებების შესახებ.
 - ჩამოაყალიბეთ თქვენი პიროვნული პოზიცია (ახენით, რატომ ეთანხმებით ან არ ეთანხმებით არჩილ ჯორჯაძის მოცემულ თვალსაზრისს).
- თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

შავი სამუშაოსათვის:

ლიტერატურა

შეფასების სქემა

1. იაკობმა მცველს შეახსენა ამაგი, რომელიც დედოფალს მასზე პქონდა გაწეული. სიკვდილის პირას მყოფ დედოფალთან ციხეში ჯოჯიკი მივიღა ცოდვების აღიარებისა და მონანიების მიზნით.

1. **შეახსენა დედოფლის მიერ მასზე გაწეული ამაგი** ————— 1ქ.
2. **თავისი შეცოდებების აღიარების მიზნით** ————— 1ქ.

2. არაბთა მიერ დაპყრობილ ქართველთა ნაწილი „გუემული და ქენჯნილია“ ქრისტიანული სარწმუნოებისადმი ერთგულების გამო.

- ქრისტიანობისადმი ერთგულების გამო** ————— 1ქ.

3. ნესტანის გამოსახსნელად ფატმანმა თავის ყმებს დავარის მონები დაახოცვინა. ფატმანმა უსენს ნესტანის ამბავი იმ პირობით გაუმჯდავნა, რომ იგი ამის შესახებ არავის ეტყოდა. ფატმანმა უსენს თავისი პირობა კიდევ ერთხელ მაშინ შეახსენა, როდესაც ვაჭართუხუცესმა მეფესთან სტუმრობა დააპირა. ფატმანს ეშინოდა, რომ ჭაშნაგირი გაამჟღავნებდა ნესტანის გაპარვის ამბავს. კონფლიქტი იმით დასრულდა, რომ, ფატმანის თხოვნით, ავთანდილმა მოკლა ჭაშნაგირი.

1. **ფატმანმა დაახოცვინა დავარის მონები** ————— 1ქ.
2. **ფიცი დაადებინა, რომ საიდუმლოს არავის გაუმჯდავნებდა** ————— 1ქ.
3. **როდესაც უხენმა მეფესთან სტუმრობა დააპირა** ————— 1ქ
4. **ეშინოდა, რომ ნესტანის გაპარვის ამბავი გამჟღავნდებოდა** ————— 1ქ
5. **ავთანდილის მიერ ჭაშნაგირის მოკლით** ————— 1ქ

4. გზირი აწიოკებდა ხოლმე სოფლის მცხოვრებთ. სოფლის მცხოვრები გულისხმობდნენ, რომ გზირის სიკვდილის შემდეგ თათრებმა მათ ათასი მარჩილი წაართვეს.

1. **გზირი აწიოკებდა ხოლმის მცხოვრებთ** ————— 1ქ.
2. **თათრებმა მათ ათასი მარჩილი წაართვეს** ————— 1ქ

5. დავით გურამიშვილის აზრით, იმის საწინდარი, რომ შთამომავლები მას არ დაივიწყებენ, არის მისი თხზულება („დავითიანი“). იმისათვის, რომ ადამიანი ვინმეს „მუხლო არ მოექნას“, იგი უნდა ფლობდეს ცოდნას (სიბრძნეს).

1. **მისი პოემა** ————— 1ქ
2. **სიბრძნეს** ————— 1ქ

6. შავი ყორანი ამ ლექსში საქართველოს ბედისწერის (ისტორიული ძნელბედობის) სიმბოლოა. ეს სიმბოლური სახე გვხვდება ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანში“.

1. **საქართველოს ძნელბედობის** ————— 1ქ.
2. **„მერანში“** ————— 1ქ.

7. სოფიოს აზრით, რუსებისა და ქართველების ტრადიციები და ხასიათი რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ავტორი აღტაცებას გამოთქვამს ქართველი ქალების, მათ შორის, სოფიოს ზევიბრივი თვისებების გამო.

1. **„უცხოობაში რაა სიახე?“** ————— 1ქ.
2. **„ჭო, დედანო, მარად ნეტარნო... დიდება თქვენდა...“** ————— 1ქ.

8. ამ სიტყვებში ჩანს ავტორის ირონიული დამოკიდებულება ქართველთა მიმართ. გენერალთა რაოდენობა რუს ოფიცერს განათლების მაჩვენებელი პგონია.

1. **ირონიული** ————— 1ქ.
2. **განათლების** ————— 1ქ.

9. როდესაც „სიავეს ქართველისას ამბობს“, პოეტს საზოგადოების გამოფხიზლების მიზანი ამოძრავებს. პოეტის აზრით, მისი „წმინდა... განზრახვა და სურვილი“ იცის ღმერთმა.

1. ერმა საკუთარი ნაკლი რომ გააცნობიეროს ————— *1ქ.*
2. უფალმა ————— *1ქ.*

10. გრძნობა, რომლისათვისაც პოეტი მზად არის სიცოცხლე გაიღოს, არის სიყვარული. „ჩუმ ტანჯვაში“, ავტორის აზრით, შეიძლება დაიბადოს ნეტარების (ბედნიერების, სიამოვნების...) განცდა.

1. სიყვარული ————— *1ქ.*
2. ნეტარება ————— *1ქ.*

11. მტერთან საბრძოლველად მიმავალ ლელას მოლაშქრეებმა ურჩიეს, შინ დაბრუნებულიყო და ავადმყოფი მამისათვის მოევლო. წიწოდა შეშინდა ბრძოლის ველზე და მტერს გამოექცა.

1. ოჯახს დაბრუნებოდა ————— *1ქ.*
2. ბრძოლის ველი მიატოვა ————— *1ქ.*

12. პლატონი იმიტომ ნანობდა, რომ ქორწილში კირილემ იჩხუბა და პლატონი უსიამოვნებაში გახვია. პლატონს „საქვრივო“ ფულის გამორთმევა იმიტომ არ სურდა, რომ ბრეგაძეები დარიბები იყვნენ.

1. ჩხუბი ჩაბმა მოუწია ————— *1ქ.*
2. ბრეგაძეები გაჭირვებულები იყვნენ ————— *1ქ.*

13. ეს ეპითეტია „ცისფერი“. ლირიკული გმირი მზადაა სიკვდილისათვის.

1. ცისფერი ————— *1ქ.*
2. სიკვდილისათვის ————— *1ქ.*

14. ახალგაზრდებმა წიგნების კითხვა რომ დაიწყონ, ვასიკო კეჯერამის აზრით, ისინი მალით უნდა ჩაკეტონ „კარცერ-ლუქსებში“ და არ გამოუშვან, სანამ კითხვას არ შეეჩვევიან. ვასიკო კეჯერამე ხელმძღვანელ მუშაქს „ბედნიერ კაცს“ იმიტომ უწოდებს, რომ მას ბევრი კარგი წიგნი ჯერ არა აქვს წაკითხული და წინ ელის პირველი წაკითხვისაგან მიღებული სიამოვნება.

1. იძულებას ————— *1ქ.*
2. პირველად წაკითხვის სიამოვნება ელის ————— *1ქ.*